ზიგმუნდ ფროიდი

Sigmund Freud

მოსე და მონოთეიზმი

Der Mann Moses und die Monotheistische Religion

ქართული თარგმანი ეკუთვნის ვახტანგ გორგიშელს

გამომცემლობა „აქტი“
თბილისი – 2020

მთარგმნელი: ვახტანგ გორგიშელი
რედაქტორი: დიმიტრი უჩანეიშვილი
გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2020 წელი
ვებ-გვერდი: akti.ge

© Ibooks
© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-2061-8

სარჩევი

რედაქტორის წინასიტყვაობა 4

მოსე და მონოთეიზმი

I. მოსე – ეგვიპტელი 7
II. თუ მოსე ეგვიპტელი იყო 18
III. მოსე, მისი ხალხი და მონოთეისტური რელიგია
ნაწილი I. შესავალი შენიშვნა I. 58
შესავალი შენიშვნა II. 61
A. ისტორიული წინაპირობა 63
B. ლატენტური პერიოდი და თქმულება 72
C. ანალოგია 79
D. გამოყენება 89
E. სირთულეები 103

ნაწილი II. რეზიუმე და დასკვნები 116
A. ისრაელის ხალხი 117
B. დიდი ადამიანი 120
C. ინტელექტუალურობის ზრდა 125
D. ინსტინქტის უარყოფა 130
E. რა არის ჭეშმარიტი რელიგიაში 139
F. დათრგუნულის დაბრუნება 141
G. ისტორიული ჭეშმარიტება 145
H. ისტორიული განვითარება 150

შენიშვნები და განმარტებები 157
გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები 169

რედაქტორის წინასიტყვაობა

„მოსე და მონოთეიზმი“ (Der Mann Moses und die monotheistische Religion, 1939) ფროიდის უკანასკნელი ნაშრომია, რომელსაც ის სიცოცხლის ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ქმნიდა. ეს წიგნი არის მისი ანტირელიგური ფილოსოფიის გაგრძელება (საკმარისია, მისი კიდევ ერთი ნაშრომი გავიხსენოთ, „ილუზიის მომავალი“, სადაც „ილუზიის“ ქვეშ სწორედ რელიგია იგულისხმება) და თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ფსიქოანალიტიკური გამოცდილების გამოყენება ცალკე აღებული ერის ანალიზისთვის.

არელიგიური, ანტირელიგიური, ათეისტი ფროიდი ამ წიგნს სასიკვდილო სარეცელზე ასრულებდა. მიუხედავად რელიგიისადმი ასეთი დამოკიდებულებისა, მას არასოდეს უარყვია, მეტიც, ამაყობდა თავისი ებრაული წარმომავლობით, რომელიც, თუ ამ წიგნს ვენდობით, სინამდვილეში... ეგვიპტურია.

ეგვიპტოლოგების, ჯეიმს ბრესტედისა და ედუარდ მეიერის მიგნებებზე დაყრდნობით, ფროიდი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მოსე იყო არა ებრაელი, არამედ ეხნატონის ეპოქის დიდგვაროვანი ეგვიპტელი. ეს აძლევს საშუალებას ფროიდს, მონოთეისტური რელიგიების წარმოშობის საკუთარი თეორია განავითაროს და „გამოსვლის“ წიგნის თავისი ვერსია შემოგვთავაზოს.

ეხნატონისა და მისი ახლად შემოღებული რელიგიის, ატონიზმის (მზის ღმერთის თაყვანისცემა; ეს პირველი მონოთეისტური რელიგიაა, რომელიც ჩვენთვის არის ცნობილი) მიერ პოპულარობის დაკარგვის შემდეგ, მოსეს სურს რა თავისი რწმენისა და პრივილეგირებული მდგომარეობის შენარჩუნება, ეგვიპტეში მცხოვრებ სემიტ მონათა ტომის ბელადი ხდება, რომელიც ატონიზმს იღებს. ამასთანავე, მოსეს შემოაქვს ეგვიპტის თავისუფალ

მოქალაქეთა შორის გავრცელებული წინადაცვეთის ადათი და სარგებლობს რა ქვეყანაში გამეფებული არეულობით (ეხნატონის სიკვდილის შემდეგ, ჩვ. წ.ა. დახლოებით 1350 წ.), დაუბრკოლებლად გამოჰყავს ებრაელები ეგვიპტიდან.

შემდგომ ამისა, ფროიდის ვარაუდით, ამბოხების დროს მოსე მოკლულ იქნა, ტომი კი შეუერთდა კიდევ ერთ მონოთეისტურ ტომს მიდიიდან, რომელიც თაყვანს სცემდა ვულკანის ღმერთ იაჰვეს.

ფროიდი ვარაუდობს, რომ ეგვიპტელი მოსეს მზის ღმერთი შერწყმულ იქნა მიდიელთა იაჰვეს, ხოლო მოსეს საქმეები მიდიელთა მღვდელმთავარს მიაწერეს, რომელსაც ასევე მოსე ერქვა. ამგვარად, მოსე კომპოზიტური, შედგენილი ფიგურაა.

მკვლელობის შემდეგ, თაობათა განმავლობაში მოსეს რელიგიას მხოლოდ მასთან დაახლოებული ადამიანების ჯგუფი უჭერდა მხარს. განიცდიდნენ რა დანაშულის გრძნობას, ბელადის მკვლელობის გამო, ებრაელებმა მესიას კონცეფცია შეიმუშავეს, როგორც იმედი მოსეს დაბრუნებისა ისრაელიტთა მხსნელად. ატონის სახელმა „ადონაის“ ჟღერადობა (ებრ. **ינדא**) მიიღო.

მრავალი მიმართებით, ეს წიგნი თეოგონიის „ტოტემსა და ტაბუში“ გადმოცემულ შეხედულებებს იმეორებს. მაგალითად, ფროიდი წერს: „მას შემდეგ არასოდეს შემპარვია ეჭვი, რომ რელიგიური მოვლენები უნდა განვიხილოთ პიროვნების ჩვენთვის ცნობილ ნევროტულ სიმპტომთა ნიმუშის მიხედვით – როგორც ადამიანთა ოჯახის პირველყოფილი ისტორიის დიდი ხნის წინ დავიწყებული მნიშვნელოვანი მოვლენების დაბრუნება“. ასეთია დაბრუნება დანაშაულის კოლექტიური გრძნობისა მოსეს მკვლელობისთვის, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა და ებრაელები რელიგიური გრძნობების ნევროტულ გამოვლენასთან მიიყვანა, რათა მემკვიდრეობით მიღებული ტრავმა და დანაშაულის გრძნობა გადაელახათ.

ეს წიგნი, როგორც ავტორი ამბობს, არის „მინიშნება შესაძლებლობაზე იმისა, რომ მოსეს რელიგიამ ებრაელ ერზე ზემოქმედება მოახდინა, როგორც მხოლოდ თქმულებამ“ და ამ თქმულების საფუძველზე შეიძინა ამ ერმა თავისი სპეციფიკური თვისებები,

თუმცა პასუხის გარეშე რჩება კითხვები იმის შესახებ, თუ რატომ „არ სურთ ჭეშმარიტების სახით იმის მიღება, რომ ღმერთი მოკ-ლეს“ და როგორ შეინარჩუნეს ებრაელებმა თავისი ინდივიდუალო-ბა დღევანდელ დღემდე.

წიგნი მრავალი მკითხველისათვის შოკისმომგვრელი იყო, ზოგი თეოლოგის შეფასების მიხედვით, „სრულიად აბსურდულიც“ კი, თუმცა მსოფლიოში პირველი მონოთეისტური რელიგიის კვალის მიგნება და ჰიპოთეტური „აღდგენა“, შემდეგ კი მისი ევოლუცია იუდაიზმად, მოგვიანებით კი ქრისტიანობად, ყურადღებას, გან-სჯასა და საბოლოოდ, მოქმედებას მოითხოვს. წიგნში მრავალი ისეთი იდეა და დასკვნაა, რომელიც ჯერ კიდევ საჭიროებს ღრმა განხილვას.

რედაქტორი: დიმიტრი უჩანეიშვილი

I. მოსე – ეგვიპტელი

ჩამოშორება ერისთვის ადამიანისა, რომლითაც ის ამაყობს, როგორც თავისი უდიადესი შვილით, არ წარმოადგენს წამოწყებას, რომელსაც ხალისით ან დაუფიქრებლობით შეუდგები, მით უმეტეს, თუ თვით ხარ ამ ერის შვილი. ჩვენ ვერ მივცემთ საკუთარ თავს უფლებას, რომ მსგავსმა მოსაზრებებმა გვიბიძგონ ჭეშმარიტებაზე უარის თქმისკენ იმის სასარგებლოდ, რასაც ეროვნულ ინტერესებს უწოდებენ. მეტიც, შეგვიძლია გვქონდეს მოლოდინი, რომ რიგი ფაქტების გარკვევა ცოდნის გაღრმავებამდე მიგვიყვანს.

კაცი მოსე,[1] რომელმაც ებრაელ ხალხს თავისუფლება მიანიჭა, ჩამოაყალიბა მისი კანონები და დააფუძნა მისი რელიგია, იმდენად დაშორებულ დროს ეკუთვნის, რომ არ შეიძლება უარი ვთქვათ იმის წინასწარ კვლევაზე, იყო ის ისტორიული პერსონაჟი თუ ადამიანი ლეგენდიდან. თუკი ის არსებობდა, ეს ხდებოდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეცამეტე ან, შესაძლოა, მეთოთხმეტე საუკუნეში. ჩვენ მის შესახებ ინფორმაცია გვაქვს მხოლოდ წმინდა წერილიდან და იუდეველთა გადმოცემების მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულის გამოისობით საკითხის საბოლოო გადაწყვეტა განსაზღვრულობას მოისაკლისებს, ისტორიკოსთა დიდი უმრავლესობა მაინც იმ შეხედულების სასარგებლოდაა გადახრილი, რომ მოსე რეალური პიროვნება იყო, რომ ეგვიპტიდან გამოსვლა, რაც მის სახელს უკავშირდება, მართლაც მოხდა. სამართლიანია იმის მტკიცება, რომ თუ მოცემულ წინაპირობას არ დავეთანხმებით, ისრაელი ხალხის შემდგომი ისტორია გაუგებარი იქნება. მართალია ისიც, რომ მეცნიერება დღეს მეტად წინდახედული და გაცილებით უფრო შემწყნარებელია გადმოცემების მიმართ, ვიდრე ეს ისტორიული კრიტიციზმის პირველ ხანებში ხდებოდა.

პირველი, რაც ჩვენს ყურადღებას იპყრობს მოსესთან დაკავშირებით, ესაა მისი სახელი, რომელიც ივრითზე ჟღერს, როგორც „მოშე“ (Mosheh). „როგორია მისი წარმომავლობა? – შესაძლოა იკითხოთ თქვენ, – და რას ნიშნავს იგი?“ როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, პასუხი ამ კითხვაზე მოცემულია გამოსვლის მეორე თავში. იქ ნათქვამია, რომ სახელი მას ეგვიპტის ფარაონის ასულმა მისცა, რომელმაც ჩვილი ნილოსის წყლებში დახრჩობას გადაარჩინა, წამოაყენა რა ამ დროს შემდეგი ეტიმოლოგიური საბუთი: „რადგან წყლიდან მყავს ამოყვანილი.“[2]

თუმცა, ეს განმარტება უპირობოდ არასაკმარისია. „ბიბლიური ინტერპრეტაცია სახელისა, როგორც იმისა, ვინც „წყლიდანაა ამოყვანილი“, – ამტკიცებს იუდეური ლექსიკონის ავტორი.[3] – წარმოადგენს საზოგადოდ გავრცელებულ ეტიმოლოგიას, რომელსაც პირველ რიგში ვერ შევუთავსებთ იუდეური სიტყვის აქტიურ ფორმას – რადგან „მოშე“ შეიძლება ასევე ნიშნავდეს „იმასაც, ვისაც ამოჰყავს.“ ეს შეუთანხმებლობა შემდეგი ორი საბუთით შეგვიძლია გავამყაროთ: პირველ რიგში, აბსურდულია საუბარი იმის შესახებ, რომ ეგვიპტის ფარაონის ასულმა სახელი იუდეურიდან აიღო, და მეორე, წყალი, რომლიდანაც ჩვილი ამოიყვანეს, მეტად სავარაუდოა, რომ ნილოსი არ იყო.

მეორე მხრივ, მრავალ სპეციალისტს უკვე გამოთქმული აქვს ეჭვი, რომ „მოსეს“ ეგვიპტური წარმომავლობა აქვს. ნაცვლად იმ სპეციალისტების ჩამოთვლისა, რომლებიც მსგავსი შეხედულების მხარდასაჭერად გამოდიოდნენ, მოვახდენ ციტირებას მოცემულ საკითხთან დაკავშირებული ნაწყვეტისა მცირე ხნის წინ გამოქვეყნებული წიგნიდან The Dawn of Conscience („სინდისის აისი“, 1934) ბრისტედისა, რომლის ნაშრომი History of Egypt („ეგვიპტის ისტორია“, 1906) კლასიკურად ითვლება: „მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ მისი სახელი, მოსე, ეგვიპტურია. ესაა მარტივი ეგვიპტური სიტყვა „ჩემი“, რომელიც ნიშნავს „ბავშვს“ და წარმოადგენს შემოკლებულ ფორმას ისეთი სახელების უფრო სრული ფორმებისა, როგორიცაა „ამონ-მოს“, რაც ნიშნავს „ამონის ბავშვს“ ან „პტახ-მოს“ – „პტახის ბავშვი“, რაც, თავის მხრივ, შეკვეცილი ფორმაა უფრო სრული „ამონისგან (ბოძებული) ბავშ-

ვი“-ს ან „პტახისგან (ბოძებული) ბავშვის“. შემოკლება „ბავშვი“ მალე მასშტაბური სრული სახელის მოსახერხებელ გამარტივებად იქცა, რის შემდეგ სახელი მოს,[4] „ბავშვი“, ხშირად გვხვდება ეგვიპტურ ძეგლებზე. შვილის სახელს მოსეს მამამ უეჭველად დაურთო რომელიმე ეგვიპტური ღვთაების სახელი, როგორიცაა ამონი ან პტახი. ეს ღვთიური სახელი საზოგადო გამოყენებისას თანდათანობით დაიკარგა, ხოლო ბავშვს დაერქვა უბრალოდ „ჩემი“ (ბოლო s [Mose-s] აღებულია ძველი აღთქმის ბერძნული თარგმანიდან. იუდეურში არის მხოლოდ „მოშე.“[5]

ეს ნაწყვეტი მე სიტყვასიტყვით მოვიტანე და სრულებით არ ვარ მზად, პასუხისმგებლობა ვიტვირთო მისი დეტალებისთვის. მე ასევე ოდნავ გაკვირვებული ვარ, რომ ბრისტედმა არ მოიტანა ღვთიურ სახელთაგან ნაწარმოები ანალოგიური სახელები, რომლებიც ეგვიპტელ მეფეთა სიაში ფიგურირებს. მაგალითად: ა-მოს (Ah-mose), თოტ-მოს (Thoth-mose) და რა-მსეს (Ra-mose).

შესაძლოა გვქონოდა იმის მოლოდინი, რომ მრავალრიცხოვან მკვლევართაგან ვინმე, ვინც აღიარა, რომ „მოსე“ ეგვიპტური სახელია, ასევე მივიდოდა დასკვნამდე, ან, სულ ცოტა, მხედველობაში მიიღებდა, რომ ადამიანი, რომელიც ეგვიპტურ სახელს ატარებს, შესაძლოა თვითონაც ეგვიპტელი იყოს. რაც შეეხება ჩვენს დროს, ჩვენ უყოყმანოდ ვაკეთებთ ასეთ დასკვნებს, თუმცა კი ადამიანები დღეს ატარებენ არა ერთ, არამედ ორ სახელს – საკუთრივ სახელსა და გვარს – და ეს მიუხედავად იმისა, რომ გარემოებათა ცვლილებასთან ერთად სავსებით შესაძლებელია სახელის შეცვლა ან მისი მსგავსის აღება. ასე მაგალითად, ჩვენ სრულებით არ გვიკვირს, როდესაც მტკიცდება, რომ პოეტი შამისო[6] წარმოშობით ფრანგი იყო, რომ ნაპოლეონ ბონაპარტე, პირიქით, იტალიიდან გახლდათ, ხოლო ბენჯამენ დიზრაელი იტალიელი ებრაელი იყო, როგორც მისი სახელიდან გამომდინარეობს. რაც შეეხება ანტიკურ და ადრექრისტიანულ პერიოდს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დასკვნა ადამიანის ეროვნების შესახებ, დამყარებული მის სახელზე, სავარაუდოდ მეტად სანდო და ფაქტიურად უეჭველი უნდა ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, არც ერთი ისტორიკოსი არ მისულა ასეთ დასკვნამდე

მოსესთან მიმართებით – არავინ, თვით ისინიც კი, ვინც ბრისტედის მსგავსად მზადაა დაეთანხმოს იმას, რომ „განისწავლა მოსე ეგვიპტელთა მთელი სიბრძნით.“[7]

დაბეჯითებით იმის თქმა, თუ რამ შეუშალა მათ ამაში ხელი, რთულია. შესაძლოა ბიბლიური გადმოცემისადმი გადაულახავმა მოწიწებამ. შესაძლოა, თავად იდეა, რომ კაცი მოსე შესაძლოა ყოფილიყო ვინმე სხვა და არა ებრაელი, მათ მეტისმეტად მკრეხელურად ეჩვენებოდათ. თუმცა, როგორც არ უნდა იყოს, აღიარება იმისა, რომ სახელი მოსე – ეგვიპტურია, არ განიხილებოდა მისი წარმომავლობის საკმარისად დამაჯერებელ საბუთად და არანაირი შემდგომი დასკვნა არ გაკეთებულა. თუ კითხვა ამ დიდი ადამიანის ეროვნების შესახებ მნიშვნელოვნად უნდა ჩავთვალოთ, სასურველი იქნებოდა მოგვეხმო უფრო ახალი მასალა, რომელიც კითხვაზე პასუხის გაცემაში დაგვეხმარებოდა.

სწორედ ამას ეძღვნება ჩემი მცირე ნაშრომი. ადგილი, რომელიც მას Imago-ს ფურცლებზე აქვს გამოყოფილი, იმითაა განპირობებული, რომ იგი ფსიქოანალიზის პრაქტიკულ გამოყენებას წარმოადგენს. უდავოა, რომ ამ გზით მიღებული მტკიცებულება, მკითხველთა მხოლოდ იმ მცირე წრის მიერ იქნება შეფასებული, რომლისთვისაც ცნობილია ფსიქოანალიტიკური აზროვნება, და რომელიც სათანადოდ შეძლებს მისი შედეგების შეფასებას. ვიმედოვნებ, რომ მათთვის ის არსებითი იქნება.

1909 წელს ოტო რანკმა, რომელიც იმ დროს ჯერ კიდევ ჩემი გავლენის ქვეშ იყოფებოდა,[8] ჩემი რჩევით გამოაქვეყნა წიგნი სახელწოდებით „მითი გმირის დაბადების შესახებ.“ მასში ნათქვამია, რომ „ყველა ცნობილი მაღალგანვითარებული ერი... ჯერ კიდევ განვითარების ადრეულ სტადიაზე იწყებდა თავისი გმირების, მითიური მბრძანებლებისა და მეფეების, რელიგიების, დინასტიების, იმპერიებისა და ქალაქების, ერთი სიტყვით, ეროვნული გმირების განდიდებას მრავალ პოეტურ ქმნილებასა და ლეგენდაში. ასეთ პიროვნებათა დაბადებისა და ცხოვრების ადრეული პერიოდების ისტორიები განსაკუთრებით ფანტასტიური ელემენტებითაა შემოსილი, რომლებიც სხვადასხვა ხალხებში, მიუხედავად მათი გეოგრაფიული დაშორებისა და ერთმანეთისგან დამოუ-

კიდებლობისა, გასაოცარ მსგავსებას ამჟღავნებენ, დროდადრო კი სრულ შესაბამისობას. ეს ფაქტი საკმაო ხანია იწვევს მრავალ მკვლევართა გაოცებას“ (გვ. 157). თუკი რანკის კვალდაკვალ (მეთოდიკის მიხედვით, რომელიც გალტონისას[9] ჰგავს) შევეცდებით შევქმნათ „საშუალო ლეგენდა“, რომელიც ყველა ამ ისტორიის არსებით მახასიათებლებს ასახავს, შემდეგ სურათს მივიღებთ:

„გმირი დიდგვაროვანი მშობლების შვილია; ჩვეულებრივ, ხელმწიფის ვაჟი. მის დაბადებას წინ უსწრებს სხვადასხვა სირთულეები, ისეთები, როგორიცაა თავშეკავება, ხანგრძლივი უნაყოფობა, მშობელთა იდუმალი (შინაგან წინააღმდეგობათა ან აკრძალვათა გამოისობით) სიახლოვე. გმირის დაბადებამდე ან ჩასახვამდე ადგილი აქვს წინასწარმეტყველებას, სიზმრის ხილვით ან ქურუმის მეშვეობით, რომელიც შეიცავს გაფრთხილებას მისი დაბადების არასასურველობის შესახებ და რომელიც, ჩვეულებრივ, შეიცავს მუქარას მამის ან იმ პირისთვის, ვინც მას წარმოადგენს. როგორც წესი, ბავშვს წყალს ანებებენ – კალათით, სკივრით ან კასრით. შემდეგ მას გადაარჩენენ ცხოველები ან დაბალი წარმომავლობის ადამიანები (მწყემსები), ხოლო კვებავს მდედრი ცხოველი ან მდაბიო ქალი. ზრდასრული გმირი თავის დიდგვაროვან მშობლებს განსხვავებული საშუალებებით პოულობს; ერთი მხრივ, ის შურს იძიებს მამაზე, მეორე მხრივ კი აღიარებულია სხვებისგან, საბოლოოდ კი მაღალ მდგომარეობასა და პატივს აღწევს.“ (გვ. 55).

ისტორიულ ფიგურათაგან უძველესი, ვისაც დაბადების მითი ეხება, ბაბილონის დამაარსებელი სარგონ აკადიელია (დაახლ. 2800 წ. ჩვ. წ.ა.). ჩვენთვის საინტერესო იქნება მონათხრობი, რომელიც უშუალოდ მას მიეწერება.

„მე, სარგონი, ძლევამოსილი ხელმწიფე, აკადიის მეფე. დედაჩემი ქურუმი იყო, მამაჩემი არ ვიცი, მამაჩემის ძმა კი მთაში ცხოვრობდა. დედაჩემი, ქურუმი, ჩემით დაფეხმძიმდა ქალაქში, რომელსაც ჰქვია აზუპირანი, ევფრატის ნაპირას რომ მდებარეობს. ფარულ ადგილას მშვა მან. ლერწმისგან დაწნულ კალათში ჩამსვა, ხუფი ფისით დალუქა და წყალში ჩაუშვა. ნაკადს არ დავუხრჩვივარ, არამედ მიმიყვანა აკისთან, წყლის მზიდავთან. აკიმ, გულკეთილობიდან გამომდინარე, წყლიდან ამომიყვანა; წყლის მზიდავმა

აკიმ საკუთარი შვილივით გამზარდა; წყლის მზიდავმა აკიმ თავის მებაღედ მაქცია. როდესაც მებაღედ ვმუშაობდი, მე შევუყვარდი იშტარს, მეფედ ვიქეც და 45 წელს ვმეფობდი“.

სარგონ აკადიელით დაწყებულ სერიაში ჩვენთვის ყველაზე ცნობილია მოსეს, კიროსისა და რომულუსის სახელები. მათ გარდა რანკმა პოეზიიდან და ლეგენდებიდან შეკრიბა მთელი რიგი ისტორიული ფიგურებისა, რომელთა სიყმაწვილის შესახებ მოგვითხრობს მსგავსი ისტორია, რომელიც მთლიანად ან იოლად საცნობ ფრაგმენტებში თანხვდება აღნიშნულს, – მათ შორისაა ოიდიპოსი, კარნა, პარისი, ტელეფოსი, პერსევსი, ჰერაკლე, გილგამეში, ამფიონი, ზეთოსი და სხვები.[10]

რანკის კვლევებმა ამ მითის წარმომავლობა და მიზანი გაგვაცნო. მე აუცილებლად მიმაჩნია მათზე მითითება ზოგი მცირე შენიშვნით. გმირი – ეს არის ვინმე, ვისაც ეყო სიმამაცე, მამის წინააღმდეგ აღმდგარიყო და დაემარცხებინა ის. ჩვენი მითი ამ ბრძოლას გასდევს გმირის წინაისტორიამდე, რადგან წარმოადგენს მას, როგორც დაბადებულს მამის ნების წინააღმდეგ და გადარჩენილს მისი ავი განზრახვის მიუხედავად. სტიქიისთვის მინდობა დაბადების უდაო სიმბოლურ გამოხატულებას წარმოადგენს: კალათი – საშოა, წყალი კი ამნიოტური სითხე. დამოკიდებულება მშობელი-შვილი ნაჩვენებია წყლიდან ამოყვანის ან გადარჩენის ურიცხვ სიზმრებში.[11]

როდესაც ადამიანთა ფანტაზია ჩვენს მიერ განხილულ მითს დაბადების შესახებ უკავშირებს რომელიმე გამოჩენილ პიროვნებას, ეს წარმოადგენს საბაბს მისი აღიარებისთვის, როგორც გმირისა და იმის გამოსაცხადებლად, რომ ამ პიროვნების ცხოვრება სრულად შეესაბამება გმირის ცხოვრების ხასიათს. ფაქტიურად კი ასეთი პოეტური გამონაგონის წყაროს ის წარმოადგენს, რაც ჩვენთვის ცნობილია, როგორც ბავშვის „საოჯახო რომანი“, რომელშიც ბავშვი რეაგირებს თავისი ემოციური დამოკიდებულების ცვლილებაზე მშობლების, განსაკუთრებით კი მამის მიმართ.[12]

ბავშვის ადრეული წლები მამის დიდი გადაფასებით ხასიათდება; შესაბამისად, სიზმრებსა და ზღაპრებში მშობელთა როლებს

გამომცემლობა 'აქტი'-ს მიერ გამოცემული წიგნები

1. ფრიდრიხ ნიცშე – ანტიქრისტე
2. ფრიდრიხ ნიცშე – ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
3. ფრიდრიხ ნიცშე – სიკეთისა და ბოროტების მიღმა
4. კარლ იასპერსი – ნიცშე და ქრისტიანობა
5. კარლ იასპერსი – ფილოსოფიის შესავალი
6. სიორენ კირკეგორი – შიში და თრთოლვა
7. სიორენ კირკეგორი – სატანჯველის სახარება

8. ზიგმუნდ ფროიდი – სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან
9. ზიგმუნდ ფროიდი – მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
10. ზიგმუნდ ფროიდი – მოსე და მონოთეიზმი

11. ლევ შესტოვი – უსაფუძვლობის აპოთეოზი
12. ლევ შესტოვი – შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო
13. ბერტრან რასელი – ესეები
14. ბერტრან რასელი – ქორწინება და მორალი
15. ედმუნდ ჰუსერლი – ამსტერდამული მოხსენებები
16. მიგელ დე უნამუნო – ქრისტიანობის აგონია
17. ნიკოლაი ბერდიაევი – ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი

18. იმანუელ კანტი – მარადიული მშვიდობისკენ
19. გიორგი გურჯიევი – დანახული რეალური სამყაროდან
20. ერიხ ფრომი – ადამიანის სული
21. გუსტავ ლე ბონ – მასების ფსიქოლოგია
22. სვამი ვივეკანანდა – ძველი ინდური ფილოსოფია
23. მერაბ მამარდაშვილი – ცნობიერება და ცივილიზაცია
24. ხოსე ორტეგა-ი-გასეტი – ეტიუდები სიყვარულზე